№ 20

ხუთშაბათი, 27 იანვარი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

# ივერია

№ 20

ხუთშაბათი, 27 იანვარი 1894

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

## „ივერია“

გამოდის 1894 წელს

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტფილისი,
„ივერიის“ რედაქციას
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას, სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

სატელეგ. ადრესი:

**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

---

### ქართული თეატრი

პარასკევს, 28 იანვარს
ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ
**ვ. ს. ალექსეევ მესხიევის**
მონაწილეობით
წარმოდგენილი იქნება:

**გამწარებული ცხოვრება**

დრ. 4 მოქ. გადმოკ. რუსულით.

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ავალიშვილისა, ნებიერიძისა და სხვ. ბბ. მესხიევი, გუნია, სვიმონიძე და სხ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი $7^1/_2$ საათზე.

## ახალი ამბავი

*** ქუთაისი: კვირას 23 იანვარს აქაურ ახალგაზდა არტისტის ბ-ნ ბალანჩივაძის საბენეფისოდ წარმოდგენილ იქმნა ოტელო, ტრაგედია შექსპირისა. უმთავრეს როლს თამაშობდა ბ-ნი კ. ს. მესხი, დეზდემონას როლს—მისი და ეფემია სვიმონის ასული, იაგოს—თვით მობენეფისე. წარმოდგენამ ურიგოდ არ ჩაიარა. ზოგიერთს ძლიერ ადგილებში კარგი იყო ბ-ნი კ. მესხი, მეტადრე იქ, საცა იაგოს დარჩობას უპირობს, იქაც, საცა ჰღელავს, ჰშფოთავს, სავარძლიდამვარდება, ან კიდევ, როცა არჩობს დეზდემონას. ეფემია მესხისას კარგად მოუვიდა ის ადგილი, საცა ეფიცება ოტელოს, უბრალო ვარ და წმინდის სიყვარულით მიყვარხა როსკასიოს როლი სასურველის შვენებით ვერ შეასრულა ბ-ნმა თუთბერიძემ. მობენეფისეს იაგოს როლში არა უშავდა-რა, თუმცა ეს როლი ძალიან ძნელი შესასრულებელია. ემილიას როლი და სხვა როლებიც კარგად ითამაშეს დანარჩენმა არტისტებმა.

საზოგადოება, სამწუხაროდ, ნაკლებად დაესწრო ამ წარმოდგენას. მობენეფისეს მიართვეს თავის ამხანაგებმა დაფნის გვირგვინი და ვერცხლის საშაქრე.

*** მესხეთი (ახალციხის მაზრა): კვირა-ნახევარი მეტია, რაც აქეთ საშინელი სიცივე და ყინვები დაიჭირა.—მტკვარი ბევრგან სრულიად გაყინა. მცხოვრებლები სიცივის გამო დიდს გაჭირვებაში არიან.

ურავლის საზოგადოების ძველი მოხელენი გამოსცვალეს და ვნახოთ ახალი მოხელეები როგორ წაიყვანენ სასოფლო საქმეებს. აქამდე საზოგადოების მამასახლისად ქართველი იყო, ახალ არჩევანით თათარი დააყენეს. არჩევანის დროს ზოგიერთი ქართველებიც-კი თათრების მხარეს გადვიდნენ.

აქაური ქართველობა სჩივის, რომ მთელს ახალქალაქის „სალესნიჩოში“ სახელდობრ, ურავლის საზოგადოების სახელმწიფო ტყეებში მცველებად „ობიეზდჩიკებათ“ სულ თათრები ჰყავთ ჩაყენებული, რომლებიც ბრალიანს და უბრალოს „პროტოკოლებს“ უდგენენ ტყის მოჭრის შესახებაო. ქართველებს გული მოსდით, იყვედრებიან, რომ ჩვენ სკოლები გვაქვს, წერა-კითხვაც ვიცით, სამსახურში სვინდისიანადაც ვიქცევით და ჩვენ-კი ამ სამსახურს არავინ გვაძლევსო.

*** ახალ-სენაკი: კვირას, 23 იანვარს ბ-ნ მიხეილ ზ. დადებულიძის თაოსნობით აქაურ ქართულ სცენის მოყვარულთაგან გამართულ იქმნა წარმოდგენა. ითამაშეს 1) „რაც არ მერგება, არ შემერგება“, ვოდ. 1 მოქმ., ვ. გუნიასი; 2) „ტასიკო“, დრამატიული ეტიუდი 1 მოქმ., ვ. აბაშიძისა; 3) „დატრიალდა ჯარა“, ვოდ. 1 მოქ. კ. ყიფიანისა; და 4) „ხოლერობა“, ვოდ. ხუმრობა 1 მოქ. ვ. გუნიასი. მონაწილეობას იღებდნენ სულ თერთმეტი ქალი და კაცი. ქ. ქ. ეკ. ჟურული. ფ. კალანდარიშვილი და პ. საჯაია. ბ-ნნი ნ. გაბუნია, ტ. კალანდარიშვილი და სხ. ამათ-მიერ ამ თთვის ცხრას კიდევ იქმნა წარმოდგენა გამართული ბ-ნ მ. ზ- დიდე`ულიძის თაოსნობითვე. პირველმაც და მეორე წარმოდგენამაც მშვენივრად ჩაიარა. რაც შეეხება მოთამაშეებს ყველას ეტყობოდათ, რომ როლების შესწავლაში არავითარი შრომა არ დაეზოგათ. განსაკუთრებით ყურადღების ღირსნი იყვნენ ქალები, მათი მიხვრა-მოხვრა და მკაფიო ლაპარაკი, კარგი დიქცია. ეს პატივცემული ქალები პირველად გამოვიდნენ სცენაზე და ახლავე ეტყობათ, რომ მომავალში უკეთეს ნიჭს და უნარს გამოიჩენენ. ყმაწვილებმაც ყველამ კარგად შეასრულეს თავიანთი როლები.

ამ ორ წარმოდგენიდან შემოვიდა ცხრა თუმნამდე. ხარჯი თითქმის ექვს თუმანზე მეტი 'მესდგა, და დანარჩენი განაწილებულ იქმნა. ერთი წილი ახალ-სენაკში ახლად აღსაშენებელ ეკკლესიისთვის გადაიდო და სხვა—საქველმოქმედო საქმისათვის.

მადლობის ღირსია ბ-ნი მიხეილ ზ. დიდებულიძე, რომელმაც ჩვენს ახალ მოთამაშეებს თაოსნობა გაუწია და თავის მხრით არავითარი ზრუნვა არ დაუზოგავს. აგრეთვე მადლობის ღირსნი არიან თავ. ფ. მხეიძე. რომელმაც დარბაზი უსასყიდლოდ დაუთმო მოთამაშეებს. ბ-ნი ჟურული ბილეთების გასყიდვისათვის და გაბუნია ხალიჩეების და სხვა ნივთების დათმობისთვის. ჩვენი საზოგადოება ამ წარმოდგენებით დიდი კმაყოფილი დარჩა.

ანტრაქტებში მუსიკას უკრავდნენ აქაურ სამოქალაქო სასწავლებლის შეგირდები.

---

დღეს გაზ. „Нов. Обоз.“-ში დაბეჭდილია წერილი ქუთაისიდგან, რომელშიაც მოთხრობილია ქუთაისის თავად-აზნაურთა კრების ამბავი. ამ კრებას, როგორც ვუწყით, უნდა შეეცვალა აწინდელი წესი სადგილმამულო ბანკის კრებაზედ წევრთა დასწრებისა და სამჯობინაროდ მიაჩნდა მხოლოდ წარმომადგენელთა დასწრება. ეს საქმე ითავა ოზურგეთის თავად-აზნაურობამ და მიჰმართა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორსაო, სწერს წერილის ავტორი,— რომ წარმომადგენლობა შემოიღეთ და მთავრობამ რევიზია მოახდინოს ბანკში. ამის გამო ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა საჭიროდ დაინახა საგანგებო კრება დაენიშნა თავიდ-აზნაურთა ამ წარმომადგენლობით ბანკის საქმეთა განსჯის საგნის განსახილველად და ჯეროვან პროექტის შესადგენად. ეს საგანგებო კრება იყო 21 იანვარს და 35 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 5-სა დადგენილ იქმნა, მთავრობის წინაშე ვიშუამდგომლოთ, რომ წარმამადგენლები იყრიდნენ ხოლმე თავს ბანკის კრებაზედაო. აი დედაზრი თვით პროექტისა, რომელიც მთავრობას უნდა წარედგინოს განსახილველად.

წარმომადგენელთა ასარჩევად სამს წელიწადში ერთხელ უნდა მოწოდებულ იქმნას სამაზრო კრება ქუთაისის გუბერნიის ყველა მაზრაში. თვით ქუთაისის მცხოვრებლებმა ცალკე კრება უნდა გაჰმართონ. სულ ორასი წარმომადგენელი უნდა იყოს ამორჩეული ამ რიგად; ქუთაისის მაზრის წარმომადგენლად 35, შორაპნის მაზრისა—35, სენაკისა—30, ზუგდიდისა—25, ოზურგეთისა—20, რაჭისა—20, ლეჩხუმისა და ქალაქ ქუთაისისა—20.

წარმომადგენელთან ერთად ყოველ ხუთს წარმომადგენელზედ ამორჩეული უნდა იყოს ერთი კანდიდატი იმ შემთხვევისათვის, ვინიცობაა რომელმამე თავი დაანება. წარმომადგენელთა რიცხვი ასე არა თანაბრად იმიტომ არის განაწილიბული, რომ მხედველობაში მიღებულია ყოველ მაზრაში მყოფი რიცხვი დამფუძნებელ წევრისა და მსესხებელისა, მათ მიერ ძირეულ თანხაში შეტანილი სესხად აღებული ფული და ამიტომაც, თუ ვინიცობაა შეიცვალა სია დაფუძნებულ წევრთა და მსესხებელთა, წარმომადგენელთა კრებულს, ბანკის ზედამხედველ კომიტეტის წინადადებით, შეუძლიან ეს რიცხვნი შეცვალოს და სხვა გვარად განაწილოს, ხოლო საერთო რიცხვი წარმომადგენელთა 200-კი არ უნდა აღემატებოდეს.

ამომრჩეველთა კრება უნდა მოიწოდოს ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარემ არა უგვიანეს აპრილის თვისა მაზრის იმ ადგილის, სადაც ადმინისტრაცია იმყოფება. კრება შეიძლება კანონიერად ჩაითვალოს, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. სამაზრო ამომრჩეველთა კრებაზედ თავმჯდომარეობა უნდა გასწიოს ადგილობრივმა თავად-აზნაურობის წინამძღოლმა, ან, თუ ის არ იმყოფება, იმისმა მოადგილემ. ქუთაისში მომხდარ კრების თავმჯდომარედ-კი ზედამხედველ კომიტეტის ერთი წევრთაგანი უნდა იყოს თვით კომიტეტის დანიშნვისამებრ

ამომრჩეველთა და მათ კანდიდატების ამორჩევის მეტი, უფლება არა აქვს სხვა რაიმე საგანი განსაჯოს და განიხილოს.

წარმომადგენლად ანუ რწმუნებულად შეიძლება ამორჩეულ იქმნენ როგორც დამსწრე, აგრეთვე არადამსწრე საზოგადოების წევრნი. არჩევანი კენჭის ყრით უნდა მოხდეს უეჭველად. საარჩევანო კრებაზედ მონაწილეობის მიღება შეუძლიან ყველა დამფუძნებელსა და მსესხებელს წევრს, თუ იმათზედ არ ირიცხება შეღავათის გარეშე შესატანი ფული საზოგადოების ხარჯისა.

ყოველ წევრს საზოგადოებისას შეუძლიან კენჭით მონაწილეობა მხოლოდ ერთს საარჩევანო კრებაში მიიღოს. მონაწილეობის მისაღებად საჭიროა, რომ თითონვე დაესწროს. იმათ მაგიერ, რომელთაც მზრუნველნი ჰყავთ დანიშნული, მზრუნველნი იღებენ საარჩევანო კრებაში მონაწილეობას. ერთს ხმაზედ მეტის უფლება არავისა აქვს.

დაგირავებულ მამულის თანამფლობელნი და აგრეთვე სააქციონერო საზოგადოებანი და სხვა დაწესებულებანი იღებენ მონაწილეობას საარჩევანო კრებაზედ, მხოლოდ იმათს წარმომადგენელს კანონიერი რწმუნების ქაღალდი უნდა ჰქონდეთ.

აი ეს პროექტი უნდა წარედგინოს ფინანსთა სამინისტროს განსახილველად და დასამტკიცებლად.

ამასთან თავად-აზნაურობა იშუამდგომლებს, რომ ვიდრე ეს პროექტი შემოღებული არ იქნება, ბანკის წევრთა წლიური კრება ნუ გაიმართება, რადგან შეიძლება ამას ისეთივე სამწუხარო შედეგი მოჰყვეს, როგორიც მოჰყვა ამ უკანასკნელს წლებში და თითქმის ჩვეულებად გარდაიქმნაო.

## დამაკვირდი

ვნებანი ადამიანისნი ყოველთვის ჰფუხიზლობენ და შემთხვევას ეძებენ თავის გამოჩენისას; გონიერებას კი სძინავს იმ დრომდე, ვიდრე გამოაფხიზლებენ.

ჰერდერი

**

მოწყენილობა უბედურებაა ბედნიერებისა.

სატირის ლექსიკ.

**

ქაფსა და ნამირალას ძველის-ძველი ნათესაობა აქვთ ერთმანეთში.

ოტტო ლუდვიგი

## კორესპონდენცია

**ქ. ბათუმი**, 22 ანვარს. 14 იანვარს აქაურს კლუბში გამართულმა ქართულმა არტისტიულმა სალამომ საუცხოვოდ ჩაიარა. მშვენივრად მორთული ოთახები თბილქვეყნების მცენარეებით და ყვავილებით, რომლებიც უსასყიდლოდ დაუთმო თავის „როკვეიდგან“ ბ-ნმა ბეთანოვმა, და ელექტრონით განათებული დარბაზი სავსე იყო ყველა წოდების და ბათუმის მრავალ გვარ ტომთა წარმომადგენელთაგან. ამისთანა დიდს და უცხო საზოგადოებას ქართველები ქართველურად, საუცხოვოდ დაუხვდნენ და არტისტიულმა საღამომ არტისტიულად ჩაიარა. სხვათა მოწვეულთა შორის გვესტუმრა ჩვენი აკაკი, და, საზოგადოების თხოვნით, სცენიდგან წაიკითხა თავისებურის ხელოვნებით რამდენიმე თავისი ლექსი და დიდს აღტაცებაში მოიყვანა ყველანი. ძალიან ასიამოვნა მ. ძნელაძისამ საზოგადოება პატარა, მაგრამ ხელოვნურად შემუშავებულის ხმით და ალექსი-მესხიშვილმა და კ. მესხმა თავიანთ სცენებით. თერთმეტ საათიდამ დაწყებულმა ცეკვამ გასტანა დილის ექვსს საათამდე, როდესაც ელექტრონი გააქრეს და დარბაზი დაბნელდა. ცეკვის დროს გურულ მემუსიკეთა სიმღერამ და ფერხულმა დიდი ქება გამოიწვია საზოგადოებაში, მეტადრე უცხოელებში. დიდად კმაყოფილი და ნასიამოვნები დარჩა დამსწრე საზოგადოება ამ სალამოსი. ბათუმელებს ჯერ-ჯერობით ამაზედ აქვთ ლაპარაკი. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ სალამოს შემდეგ ყოველ წლის 14 იანვარს დიდი მნიშვნელობა ექნება ბათუმელებისათვის და დაიდება დროს გატარებისა და სიამოვნების დღედ.

—

ბათუმში ამ ჟამად ძალიან გავრცელებულია ინფლუენცა. ოჯახს ვერ ჰნახავთ, რომ ერთი და ორი არ იყოს ამ სენით ავად.

ამ ცოტა ხანში ბათუმის სცენის მოყვარულნი ჰმართავენ წარმოდგენას ბათუმში განზრახულ სახალხო სამკითხველოს სასარგებლოდ. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ აქაურს ქარხნებში და სხვა-და სხვა სამრეწველო დაწესებულებაში მუშაობს დიდძალი ქართველი მუშა ხალხი, რომელიც ერთობა და თავისუფალ დროს ატარებს ართვინის გზაზედ დამართულს დუქნებში, უნდა ვიფიქროთ, კარგად მოწყობილ და წარმართულ სახალხო სამკითხველოს დიდი მნიშვნელობა ექნება ხალხის ცნობის-მოყვარეობის გაღვიძების მხრივ. სახალხო სამკითხველო ისეთი საჭიროება ხალხის განათლებაში, როგორც სახალხო სკოლა. ორივეს ისეთი კავშირი აქვთ ერთმანეთში, რომ ვერ იტყვის კაცი, რომელ იმათგანს უფრო დიდი მნიშვნელობა უნდა მიეცეს. ორივე დაწესებულებანი ამთავრებენ ერთმანეთს და ემსახურებიან ერთსა და იმავე წმიდა საგანს—ხალხის განათლებისა და წინ-წაწევის საქმეს. სკოლის მნიშვნელობა, თუ მასთან სამკითხველოც არ არის დაარსებული, ერთი-ორად მცირდება. ეს აზრი ყველგან სიმართლით არის აღიარებული, მიიღებს ამას სახეში ბათუმის ქართველი საზოგადოება და, იმედია, დიდს შემწეობას აღმოუჩენს მომავალ სახალხო სამკითხველოს მის სასარგებლოდ გასამართავს წარმოდგენაზედ დასწრებით. სახეში აქვთ წარმოადგინონ ახალი ფრიად სასცენო პიესა ვ. გუნიასი „ვაი'ს გავეყარე, ვუის შევეყარე!“

ნ. პ.

### წერილი რედაქციის მიმართ

—

სამართლის აღსადგენად, გთხოვთ ამ მცირე წერილს მისცეთ ადგილი თქვენს გაზეთში.

„ივერიის“ მე-272 ნომერში დაბეჭდილი იყო თავად კონსტანტინე ხერხეულიძის წერილი, რომელშიაც იგი ამბობს, რომ ახალი გაკეთებული ხიდი პატარა ლიახვზედ დაინგრევაო. ნეტა ვიცოდეთ, როდის აქეთია, რაც თ. ხერხეულიძემ გულთ-მისნობა დაიწყო და უებარის მკითხაობით შეიტყო, რომ ხიდი უეჭველად უნდა დაინგრეს?! თავადი ხერხეულიძე ამასაცა ჰბრძანებს, რომ ხიდის აგება ბატონის მარშლის სულხანიშვილის თაოსნობა იყოვო. მართალია, პირველში, სადაც მარშალს უნდოდა გაკეთება, იქ ძალიან მოხერხებულ იყო, მაგრამ იქ აღარ მოხერხდა, რადგანაც ძალიან შორს იყო, ზვლით გზა გრძელდებოდა, ზოგიერთ გლეხების ნადელებიც იჭრებოდა, და ხალხს თავში უნდა ეცათ და ახალი გზა-ტკეცილი უნდა გაეკეთებინათ. ამასთანავე ბ-ნმა მარშალმა წყალი ჩვენის სოფლისკენ მოუგდო, ბურჯები ჩვენ სანაპიროსკენ ჩაადგმევინა, იქითი ნაპირის შეკვრა დააპირა. მხოლოდ ეს-კია, რომ პატარა ლიახვი სულ ჩვენ მოგვაწყდებოდა, და თან წაგვიღებდა.

რასაკვირველია, მე არ ვიყაბულე, ჩავედი, გორის მაზრის უფროსს გამოუცხადე. ამოვიდა, დარწმუნდა ჩემს სიმართლეს, ის ბურჯები ჩამოიტანეს, სადაც დღეს ახალი ხიდი არის, და იქ გააკეთეს, პირდაპირ გზატკეცილთან.

თავადი ხერხეულიძე ჰბრძანებს, მწარმოებელმა ბოქაულმა ინჟინრის მაგივრად ვიღაც უბრალო დურგალი მოიყვანაო. ეს ასე არ არის, რადგან არამც თუ ბოქაულმა, თვით გუბერნატორმა გუბერნიის ინჟინერი კრუგლიკოვიჩი გამოგზავნა და თან მოჰყვა მაზრის უფროსის თანაშემწე არნოლდი, რომელსაც უთუოდ ესმის ამ საქმისა. მე იმისთვის მოგახსენებთ, რომ შემდეგ ხიდის გასინჯვისა ინჟინერი, გორის მაზრის უფროსის თანაშემწე, ცხინვალიდგან განგებ გამოგზავნილი ხიდის გასინჯვას უნდა დასწრებოდა. რამდენიმე კაცი ჩემთან იყვნენ და იქ დაადგინეს ოქმი, რომ ფრიად საიმედო და მაგარი ხიდიაო. ეხლა აღარ ვიცი ვის ვენდოთ, ინჟინერს სპეციალისტს, თუ თ. ხერხეულიძეს, რომელიც აფთხილებს ხალხს, შეიძლება ხიდი ჩატყდესო.

თ. ხერხეულიძე ჰბრძანებს, სულხანიშვილს უნდა შეეკრიბა ხე-ტყე, ფიჩხი და ფულიო. შეკრებასა და შეკრებას შუა დიდი საზღვარი გახლავს. გორის მაზრის უფროსის თხოვნით, დამბისათვის პატარა ლიახვს ნაპირების გასამაგრებლად არც ერთს მებატონეს უარი არ უთქვამს. ხე-ტყე, მასალა ხისა, მონარჩენი ცხინვალის ხიდისა, არ ვ ცი გუბერნატორისა თუ მაზრის უფროსის განკარგულებით გადმოიტანეს, და პატარა ლიახვის ხიდს მოახმარეს. რაც შეეხება ფულს ს ა მ ო ც - დ ა - ა თ ი თ უ მ ა ნ ი განსვენებულის თ. ამილახვარის მოგროვილი იყო და დღემდის ინახებოდა გორის სამმართველოში. ს ა მ ო ც ი თ უ მ ა ნ ი წარმოდგენების გამართვით შეგროვდა. თუ რომ ბატონმა სულხანიშვილმაც მოაგროვა რამე, რაღა დღისთვის უნდოდა რატომ არ წარადგინა, სადაც ჯერ არს? ცხინვალელებს ცოტა ფული არ უზათ ეს ხიდი. როცა დარწმუნდნენ როგორც ინჟინრისა, ისე ხალხისაგან მოაგროვეს ფული, აკურთხებინეს ხიდი შემდეგ გააკეთეს სადილი, სადაც მიიწვიეს გორის მაზრის უფროსი, გარდაუხადეს დიდი მადლობა და ამასთან ერთად ცხინვალის ბოქაულს გუგუშვილს, რომელსაც პატივის ცემის ნიშნად ხმალი უძღვნეს. ხიდი რომ არაფრად ვარგოდეს, განა თვალები არავისა ჰქონდა დაენახა მისი საავ-კარგი? არ ვიცი, რად განუზრახავს თ. ხერხეულიძეს დაფთლება სხვათა ღვაწლისა და იმის დამტკიცება, რომ ყველა ბრმაა და მარტო მე ვარ თვალ-ხილულიაო?!

თავადი მიხეილ ერისთავი.

## უცხოეთი

—

**გერმანია.** ყველა გაზეთი თითქმის ეხლა იმის განხილვაშია, რა მოჰყვება პოლიტიკაში ბისმარკისა და გერმანიის იმპერატორის ვილჰელმის მორიგებას, პოლიტიკურად მნიშვნელობა ექმნება რამ თუ არაო. გაზეთების უმეტესობა იმ აზრისაა, რომ ამ შერიგების გამოაწინდელი მდგომარეობა მაგდენად არ შეიცვლება. ოთხის წლის განმავლობაში ახალი წესი ქვეყნის მმართვისა თავისის გზით დადის და უკვე თავისი სახე და ფერი მიიღო. იმპერატორის მხრივ სწორედ თავის მოკვლა იქნება ზნეობრივად, ეხლა რომ სახელმწიფო კვლავ ბისმარკის პოლიტიკის ძველსავე გზაზედ დააყენოს. ნუ თუ ეს ფიქრადაც-კი არის გასატარებელიო, ამბობს გაზეთი „Berliner Tageblatt“-ი. საკმარისია გავიხსენოთ მარტო ის, რომ სრულიად უარ-ყოფილია კანონი სოციალისტთა შესახებ და სავაჭრო ხელ-შეკრულობათა საქმეში სულ ახალი პოლიტიკა ჰმოქმედობს, რომ აშკარად დავრწმუნდეთ, რამდენად შეუძლებელია ბისმარკის პოლიტიკის ხელ-ახლად გამეფებაო.

ავსტრიის გაზეთი „Neue Freie Presse“ სწერს: რასაკვირველია, ამ შერიგებას ისეთი დიდი ცვლილებანი არ მოჰყვება, როგორიც მოჰყვა ბისმარკის გადადგომის დროს. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მას შემდეგ ბისმარკი ყოველთვის მოწინააღმდეგეთა მეთაური იყო. იმისკენ ეჭირა ყველას თვალი, ვისაც არ მოსწონდა ახლად შემოღებული წესი ქვეყნის მმართვისა, იმპერიის სამხრეთითაც და ჩრდილოეთითაც იმას ეჭიდებოდა მთელი რაზმი უკმაყოფილოთა, რომელთათვისაც ბისმარკი იყო იდეალი სახელმწიფო საქმეთა მმართველ კაცისა. იგი სწამლავდა და შხამავდა საზოგადოების გუნებას, შეუძლებლადა ჰხდიდა რეიხსტაგის მმართვას; ამის წასვლის შემდეგ კაპრივიმ ვერც ერთი გარდასახადი ვერ შემოიღო, რათა სამხედრო კანონ პროექტის შემოსაღებად საჭირო ხარჯი დაეფარა. ყოველ აქედგან აშკარადა სჩანს, რამ ჰყო იძულებულ გერმანიის იმპერატორი ვილჰელმი, რომ ერის ხმას დაჰყოლოდა და თავ. ბისმარკს მოჰრიგებოდა. ეს მორიგება, რასაკვირველია, თავისს გავლენას იქონიებს და ცოტა მოარბილებს კონსერვატორებს, რომელნიც დიდი წინააღმდეგნი არიან, გერმანიასა და რუსეთს შორის დასადებ სავაჭრო ხელ-შეკრულობისა.

საფრანგეთის გაზეთებიც იმავე აზრისანი არიან, რომ პოლიტიკაში მაგდენად დიდს ცვლილებას არ მოახდენს გერმანიის იმპერატორისა და ბისმარკის მორიგებაო. „Journal des Debats“-ი სწერს, თქმა არ უნდა, ბისმარკი დალევს იმპერატორის მიერ მიძღვნილს ბოთლს ღვინოს, იქნება თვით იმპერატორის ვილჰელმის სადღეგრძელოც დალიოს, მაგრამ ეს კიდევ არ გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ, ვითომ ბისმარკი ისევე გადასახლდეს ბერლინში და მთავრობის სათავეში ჩადგესო. მხოლოდ ის-კი შესაძლებელია, რომ უფრო თავ-დაჭერით იმოქმედებს, უფრო გულ-დაწყნარებით მოეპყრობა თვით იმპერატორსა და მინისტრებს, ისე გამწვავებით აღარ შეებრძოლება და გაუმკლავდება, და აი კიდეც ეს ექნებოდა სახეში იმპერატორს ვილჰელმს, როდესაც ბისმარკს ურიგდებოდაო.

გაზ. „Русскія Вѣд.“-ის ბერლინელი კორესპონდენტი ამ მორიგებას მხოლოდ კომედიადა სთვლის და სხვად არაფრად. „მე ვნახე ბისმარკიო, სწერს იგი: ამ ორის წლის წინად კისსუნგენში, საშინლად მოხუცებული, წელში მოხრილი, ჯან-გატეხილი. ბერლინელებს, რომელთაც ამ ოთხის წლის წინად უნახავთ, რალა თქმა უნდა, უფრო უნდა შეემჩნიათ ეს განსხვავება. მე დამარწმუნეს კიდეც, რომ სასახლეში ძალიან ესიამოვნათ, როდესაც შეიტყეს, რომ ბისმარკი ამ საღამოსვე მიდისო. აშკარაა, არა სდომებიათ პასუხის-გება ეკისრათ ამ სიცოცხლე-მიხრწნილ ადამიანისა. დღეს, როდესაც ბერლინში ჩამოსულს ბისმარკს დავაცქერდი, ეტლში მჯდომარეს, ასე მეგონა გერმანელთა საერთო ნაშთია მეთქი და არა ამაყი, დამოუკიდებელი კაცი. მაშინვე გამახსენდა ლასალის სიტყვები, პრუსიის მინისტრ ოტტო ფონ-ბისმარკის შესახებ, რომელიც მაშინ საშინლად სძულდათ ლიბერალებს. ბისმარკიო, სთქვა მან, მტკიცე ვაჟკაცია, ლიბერალნი-კი მოხუცი დედაკაცები არიან. ეს შედარება რომ ვიხმმროთ ეხლაც, უნდა აღვიაროთ, რომ დღევანდელი ბისმარკი უფრო მესამოცე წლის ლიბერალებსა ჰგავს, ლასალის მიერ მოხუც დედაკაცებად ჩათვლილს, ვიდრე მტკიცე ვაჟკაცს“.

### ბიბლიოგრაფია

—

გაზ. „Нов. Обоз“-ში დაბეჭდილია მცირე საბიბლიოგრაფიო შენიშვნა ბ-ნ ა. ხახანაშვილისა იმ თხზულების შესახებ, რომელიც დაუბეჭდია მიუნხენში ფრანც შვარცს ალექსანდრე მაკედონელის გალაშქრების თაობაზედ თურქესტანში. საქმე იმაშია, რომ „ქართლის-ცხოვრება ამბობს ვითომ ალექსანდრე მაკედონელი საქართველოში იყო სალაშქროდაო. განსვენებულმა დიმ. ბაქრაძემ „ქართლისცხოვრების“ თქმულების დასამტკიცებლად მიჰმართა მონტესკიეს თხზულებასაც, რომელშიაც რამდენიმე სიტყვა მოხსენებილია იმის შესახებ, რომ შესაძლოა ალექსანდრე მაკედონელს დაეპყროს საქართველოვო. თუმცა ეს ასეა, მაინც საეჭვოა ეს გარემოებაო, ამბობს ბ-ნი ხახანაშვილი და საბუთად მოჰყავს ზემოხსენებული თხზულება შვარცისა. ერთ ადგილას შვარცს მოჰყავს ისტორიკოს არრიანისა და კურციუსის ნათქვამი, რომლის სიმართლე თვით შეუმოწმებია თურქესტანში ყოფნით და ამ ქვეყნის არე-მარეს ნახვითა. არრიანი ამბობს, სხვათა-შორის, რომ ალექსანდრემ, როცა ქაბულიდამ კუიდს გაემართა, გზად გაიარა კავკასიაო და ჰკონებს, რომ სათავე ოქსუსისა და იაქორტისა კავკასიაშიაო. აი ამ ადგილის მიხედვით საფუძვლიანად ამტკიცებს ფრანც შვარცი, რომ ბერძნები მთელ შუა-აზიის მთათა სისტემას ტიან-შანიდამ, ალაიდამ, ტრანსალაიდამ, პამარიდამა და ჰინდუკუშიდამ სახელად „კავკასიას“ უწოდებდნენო. სხვა შემთხვევაშიაც ვხედავთ, რომ სახელწოდება „კავკასია“ აზიაში გადააქვთ ძველს ავტორებსაო. აქედამ ცხადად სჩანს, დასძენს ბოლოს ბ-ნი ხახანაშვილი, რომ ლეგენდა ალექსანდრე დიდის ყოფნის შესახები ჩვენს ქვეყანაში აიხსნება ბერძენთა ავტორების მიერ საგეოგრაფიო ტერმინის უკანონო ხმარებითაო.

### გამოსადეგი ცნობა

—

როგორ უნდა შეტყობა ერბოში, მარგარინი ურევია თუ არა? ყველაზედ ადვილი და ნამდვილი საშუალება ეს არის: უნდა გაადნოთ ცოტა იმ ერბოსი, რომლის გამოცდაც გინდათ, და ამ გამდნარს ერბოში ამოავლოთ პატრუქი. ეს პატრუქი აანთეთ და პატარა ხანს ასე ანთებული იყოს. მერე გააქრეთ და თუ ქონის სუნი აუვიდა, მარგარინი ჰქონია გარეული, თუ არა-და, წმინდა ერბო ყოფილა.

## დეპეშა

25 იანვარი

**ბერლინი.** როგორც „Norddeutscha Allgemeine Zeitung“-ი იუწყება, რუს-გერმანელთა მორიგებისათვის ტარიფების შესახებ გუშინ საღამოს მოაწერეს ხელი; მართალია, მორიგება ჯერ კიდევ სრულიად დამტკიცებული არ არის, მაგრამ ეჭვი არა აქვთ, რომ ზოგიერთ ფორმალურის წესის შესრულებას მხოლოდ ორიოდე დღეზე მეტი არ დასჭირდება; მორიგების დამტკიცებასთანავე კავშირის საბჭოს წარედგინება შესაფერი კანონ-პროექტი.

26 იანვარი

**პეტერბურგი.** პროფესორ ზახარინს განსაკუთრებულ დამსახურებისათვის ებოძა ორდენი წმ. ალექსანდრე ნეველისა.

**ვენა.** დოსტაქარი ბილროტი გუშინ გარდაიცვალა გულის სიდამბლავესაგან.

რაკონიცში ერთ ადგილობრივ სასტუმროს წინ აფეთქდა დინამიტის პატრონი, მაგრამ უბედურება არა მომხდარა-რა, ხალხთაგანი არავინ უმსხვერპლია.

**ბერლინი.** კაპრივისას სადილზედ პრეზიდენტმა ლევეცოვმა იმპერატორის წინაშე გერმანიის სამიწაწყლო ინტერესების დაცვა დაიწყო. იმპერატორმა გულ-დადებით მოისმინა აზრი პარლამენტის წარჩინებულ წევრთა და შემდეგ განაცხადა, აწინდელ საქმეთა მდგომარეობის გამო სავაჭრო ხელშეკრულობის მიღება საპოლიტიკო და საეკონომიო საჭიროებაო. ხელშეკრულობის პროექტი რეიხსტაგში 20 თებერვალს იქნება შეტანილი.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტო იუწყება: ჯეროვანს უწყებაში მიღებულია დეპეშა გუბერნატორის სერრ-ლეონის დეპეშა იმის შესახებ რომ საფრანგეთის ადგილობრივ შემდგარ ჯარსა და ბრიტანიის პოლიციის რაზმს შეტაკება მოუხდათო. დეპეშა დიდად მოკლეა და არ არის აღნიშნული არც საათი, არც ადგილი, საიდანაც გამოგზავნილია; იქიდგანა სჩანს, რომ ორსავე მხარეს რამდენიმე კაცი ყოფილა მოკლული.

პეტერბურგის ბირჟა, 21 იანვარი.

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გაყიდულია |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | $7_{,42}$ | $7_{,45}$ | — „ |
| ტამოჟნის კუპონები | 148 | 147 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — „ | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 241 |
| —მეორისა | | — „ | $225^1/_4$ |
| 4% მესამე სესხისა | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | — „ | — „ | 190 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% | — „ | — „ | — „ |
| 5% | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკის 6% | — „ | — „ | — „ |
| 5% | — „ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

Доз. ценз. Тифлисъ, 26-го Января 1894 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე